ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 70
(12 038)

12 – 14 სექტემბერი, 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • ბაზისის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

გზა დაულოცეს...

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნულმა ნაკრებმა „ა“ დივიზიონში ყველა მეტოქე (ლუქსემბურგი, ავსტრია, ისლანდია) დამარცხა და გუნდს სპორტის სასახლეში, ფინელებთან შესახვედრად გამგზავრების წინ, ბოლო საწვრთნო ვარჯიში ჩაატარა. აქვე შედგა მათი გაცილება, ღონისძიებას ესწრებოდნენ გუდშმატკივრები, პრესის და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბიჭების გასაცილებლად მოვიდნენ თბილისის მერი ბიბი უბილავა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ბიორი ბაბაკიშვილი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავითი ნამოძალაური. ქალაქის მერმა გზა დაულოცა ჩვენს გუნდს და ფინელებთან შეხვედრაში მოგება უსურვა მათ. მან აქვე ისიც დასძინა, რომ გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში, გუნდს მერია საჩუქრად 40 ათას ლარს გადასცემს. მანვე თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მომავალ წელს სპორტის სასახლე მთლიანად განახლდება და მაღალ დონეზე კეთილმოეწყობა.

ფოტო ედგარ მალხაზიშვილისა

ფინეთიც და...

	თ	მ	წ	ქ
საქართველო	3	3	0	6
ფინეთი	2	2	0	4
ავსტრია	3	1	2	4
ისლანდია	2	0	2	2
ლუქსემბურგი	2	0	2	2

13 სექტემბერი
20:15 ფინეთი — საქართველო
23:00 ისლანდია — ლუქსემბურგი

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბედნიერ მესამე შეხვედრა მოიგო და C ჯგუფში ერთპიროვნულად დაწინაურდა. შაბათის ჩვენი გუნდის მეტოქე ისლანდიის ნაკრები იყო. ისლანდიელები კალათბურთის ვარსკვლავებით ვერ დაიკვეხნიან, თუმცა, ლუქსემბურგელებთან შეხვედრებით იოლად ხელწამოსაკრავი გუნდი არაა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისლანდიის ნაკრებმა რამდენიმე დღის წინ ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტს, ფინეთის გუნდს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

ასეთ მეტოქესთან საქართველოს ნაკრები თავიდანვე დაწინაურდა. მასპინძელთა რიგებში, როგორც ყოველთვის, ზაზა ფაჩულია აკტიურობდა. საინტერესოა, რომ ფაჩულის პირველივე სროლა კალათბურთელებისათვის საიუბილეო აღმოჩნდა. სანაკრებო კარიერაში 300-ქულიან ზღვარს გადაბიჯა. პირველი პერიოდი ქართველებმა 19:13 მოიგეს, მეორე პერიოდში ჩვენმა გუნდმა 11-ქულიან უპირატესობას მიაღწია. საბოლოოდ დიდ შესვენებაზე საქართველოს ნაკრები 40-ქულიანი უპირატესობით გავიდა. მესამე პერიოდი ცქიტაშვილის აქტიურობით აღინიშნა, მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა მოიტანა გუნდს.

ისლანდიის ნაკრები ამაოდ ცდილობდა სხვაობის შემცირებას. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა ბოლომდე გამოიყენა უპირატესობა და მატჩი 15 ქულის სხვაობით მოიგო — 80:65.

ყველაზე შედეგიანი ჩვენს გუნდში იყო ზაზა ფაჩულია, მან 21 ქულა დააგროვა. საქართველოს ნაკრებს 11 ქულა მოუტანა ელადიერ ბოისამ, ხოლო ნიკოლოზ ცქიტაშვილმა — 15.

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გორდონ პერპერტმა** განაცხადა: „ისლანდიელებთან სათამაშოდ მობილიზებული ნაკრები გავედი, მჭონდა კარგი მომენტები, მაგრამ ეს იყო ჩაკარდნები. დღეს საქართველოს ნაკრებმა 25 წუთის განმავლობაში აჩვენა მაღალი დონის თამაში. ჩვენი მიზანი ამ დროის გაზრდაა. 3-დან 3 თამაში მოვიგეთ, მაგრამ ეს მხოლოდ გზის ნახევარია. კიდევ 5 თამაში გველის, უახლოესი შეხვედრა სტუმრად ფინეთის ნაკრებთან მეტად მნიშვნელოვანია. თუ საქართველოს ნაკრები ფინეთთანაც გუნდურ თამაშს ითამაშებს კარგად, გამარჯვებას მივაღწევთ“.

გუნდების შემადგენლობა:

საქართველო: ვ. ბოისა (16), ა. ბოისა (2), ელიანი (3), მარკოიშვილი (3), ფაჩულია (21), გამყრელიძე (3), ცინცაძე (2), ცქიტაშვილი (15), სანიკიძე (6), ნაცვლიშვილი (4), უგრეხელიძე (2), შერმადინი (3).

ისლანდია: ფ. სტეფანსონი (4), ჯ. სტეფანსონი, (9), ბირმინგჰემი (22), ბერინგისონი (2), ლ. გუნარსონი, მ. გუნარსონი (3), სიგურდარსონი (11), ჰაფსტინსონი, ინგასონი, ეირიბეგსონი, ოლაფსონი (7), მაგნისონი (7).

* * *

ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. ავსტრიელებმა სტუმრად ორი ქულის სხვაობით დაამარცხეს ლუქსემბურგის გუნდი.

* * *

პირველაირი ტრანსფერები ფინეთიდან ხვალ, 13 სექტემბერს, 19 საათზე, საზოგადოებრივი მაუწყებლობის I არხზე გადაიცემა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ორი ბედნიერი ბალიდან

ტლენში დაიწყო ახალგაზრდა ძიუდოისტთა (20 წლამდე) ევროპის ჩემპიონატი, სადაც საქართველოდან მბრძოლად ვაჟთა ნაკრები მონაწილეობდა. შეჯიბრებაში ჩვენი გუნდიდან ყველაზე კარგად **ნოდარ ბერეტაშვილმა** (100 კგ) ისპარავა. მან ფინელი დამაჯერებლად სძლია უნგრელ **ადამ ოუჯაშს** და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. მეორე მედალი — ბრინჯაო წილად ხვდა **ბეთქილე ბუკაძეს** (60). ამ წონაში პირველი ადგილი დაიკავა უკრაინის სახელით ასპარეზზე სოხუმიდან ლტოლვილმა **ალეთონი ზანთარაიამ.** საქართველოდან ასპარეზობაში ასევე მონაწილეობდნენ და ადგილზე დარჩნენ ახალგაზრდა ძიუდოისტები: **თენგიზ პაპოშვილი** (66), **ალეგა წიკლაური** (73), **დავით კარბელაშვილი** (81), **ოთხეს მსხალაძე** (90) და **ვასტანგ ზოთიე** (ძმაბე).

ომარ ჩხაპიძე

...ვერცხლი ქვაჭაბაძეს

სტამბულში ახალგაზრდულებულ კალათბურთელ მოკრიფეთა მსოფლიო პირველობაზე ამ წლის თებერვალში სპორტმენმა **ზაურ ყვაჭაბაძემ** (52 კგ) მწვრთნელი **ფიროულ ალეკპეროვი**ანერალოდ ბრონზეულ ადგილზე განვლო. შეჯიბრება, მაგრამ ადამიანურ მეჯიბრეობაში ქუთაისი დაარეკვია რუსეთის წარმომადგენელთან **ალადიმერ ფოლკოვთან** და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

ლევან ცაგურია (მარცხნივ) და თენგიზ რუხაძე

ლევან ცაგურია მეცამეტე არაიაპონელი კუმუსუბია...

10 სექტემბერს, გასულ კვირას, ტოკიოში დაიწყო **ულეველველი რიგით მე-5 ბათო სუმოს პროფესიონალთა ტურნირი. როგორც „ლელოს“** ტოკიოელებმა იცოან, ეკონომიურ პირველი **პროფესიონალი, ქართველი ლევან ცაგურია** (ტოკა) ამ **ტურნირში ამაღლებულ რანგაში — მეოთხე ბათოს დამთავრების შემდეგ** მიღებული **კუმუსუბის ტიტული ჰქონა.**

მეხუთე ბაშოს სტარტის წინ ჩვენ შეეხვედით სუმოს საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს თენგიზ რუხაძეს და შევეცადეთ პასუხი მისგან მიგვეღო ქომაგთათვის საინტერესო ზოგიერთ კითხვაზე.

◆ ***ბატონო თენგიზ, თუ გქონდათ შესაძლებლობა ლევანისთვის მიგეცეთ ეს ბადალი წარმატება?***

— ჩემს ბრძოლად ბურთიერთობთ. ეს თვალ ენდა, მაშინვე მივეულოცე, როგორც კი ამ წარმატების შესახებ ვიგრძენ.

◆ ***რას ნიშნავს კუმუსუბის რანგში ამაღლება?***

— კომპეტენი ერთ-ერთი უმაღლესი ტიტული სუმოში. კოკაიმ წლეულს რეტროსპექტიული ოფიციალური დაიწყო, ახლა კი ...

◆ ***და არის კიდევ უფრო წინასწარ ზენაზე?***

— რა თქმა უნდა. კოკაიმ ამ ...ბაშოზე 15-დან მინიმუმ 9 შერკინება უნდა მოიგოს, რომ უფრო წინ წაიწიოს.

◆ ***როგორია თავად კოკაის განწყობა?***

— ოპტიმისტური. ინტერნეტით საკუთარ საიტზე გავიცლებული ინფორმაციით იგი ირწმუნება, რომ მოიგებს 10 შეჯიბრებას და გულშემატკივრებს სოხოუს მარდაჟერას.

◆ ***კუმუსუბის რანგში რამდენი უცხოელი ამაღლებულა დღემდე?***

— ლევან ცაგურია მეცამეტე არაიაპონელია, რომელმაც ეს ტიტული დაიმსახურა.

◆ ***შემდეგი რანგი რა არის?***

— სეკიდეკი.

◆ ***კოკაი, როგორც თქვით, პირველი ქართველი და მეცამეტე უცხოელი კუმუსუბია. ჩვენი ფედერაციისთვის***

იბ. ბე-3 ბპ.

საციგურაო მზადაა, ჯერ სპორტის სასახლეზეა

კალათბურთელი საქართველო-ისლანდიის მატჩის დასრულების შემდეგ, რომელსაც ქუჩის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ესწრებოდა, პრეზიდენტმა და ჩვენმა კალათბურთელებმა იქვე, სპორტის სასახლის წინ დადგმული ახალი საციგურაო მოედანი მოინახულეს, რომლის ოფიციალური გახსნა დღესაც დაგეგმილი.

პრეზიდენტმა შეაჯო იმ ადამიანია გარჯა, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საციგურაოს დადგმა-აშენებაში. შეაჯო აგრეთვე ქალაქის მერის **გიგი უგულავას** დამსახურება და მასვე დაავალა ახლა სპორტის სასახლეს მიხედოს, რათა რამდენიმე ხანში ეს ობიექტი ისევი ვიხილოთ, როგორც ეს დედაქალაქის ცენტრალურ დახურულ სპორტულ სარბიელს ეკადრება. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ახალი დავალება განუხრელად შესრულდება.

მ. მესხის სახელობის ფეხბურთის სპეციალიზებული სპორტული ცენტრი „ავაზა“ ლრმა მწუხარებით თუწყვება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი, ამავე სკოლის მწვრთნელი

რომან ფეფლიციანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 12,13.09, 17 სთ; გამოსვენება 14.09. 15 სთ. მისამართი გ. ტაბიძის, 18.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

აცხადებს

მიღებას 2006-2007 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურის დღის განყოფილებაზე სპეციალობით „ფიზიკური აღზრდის მაგისტრი“ არასახელმწიფო სერტიფიკატი წლიური გადასახადი 1500 ლარი.

მაგისტრატურაში შემსვლელები აბარებენ ორ გამოცდას — სპეციალობასა და უცხო ენაში.

სამუშაოების მიღება 2006 წლის 1 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე გამოცდები ჩატარდება 22 და 25 სექტემბერს.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება აკადემიის მაგისტრატურის განყოფილებაში.

მისამართი. თბილისი, ჭავჭავაძის 49, ტელ: 29-37-61

ქალი ქალაქე: „აბრამოვიჩთან ერთად ვარ“

ცნობილია, რომ ვიდრე „ბილან

ᲠᲔᲜᲐᲗᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲝᲚᲔᲯᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲛᲙᲘᲚᲘ...

ბაგშოა-მოზარდთა სპორტული სკოლების ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს მოზარდი თაობის ჯანმრთელობის განმტკიცებას და ნიჭიერებას გზა გაუხსნას დიდ სპორტში.

თითქოს ამ ფუნქციაში დღეს ახალი არაფერია, მაგრამ მიდგომაა განსხვავებული, ამაღლდა პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა კი, მოგეხსენებათ, მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა, მიღწეულით არდაკმაყოფილებაა, გამუდმებით სიახლის ძიებაა.

ნოვაციებით ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე სამაგალითონი, რომლებიც მისაბაძი ხდებიან სხვებისთვის. განაალებისა და მეცნიერების სამინისტროს კრიზის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული ცენტრალური სასპორტო სკოლა (დირექტორი რევაზ მეგრელიშვილი), კარგა ხანია ერთ-ერთ სამაგალითოდ ითვლება სისტემის სპორტულ სკოლებში. წლევანს ამ სკოლის ბიოგრაფია კიდევ უფრო გამდიდრდა, რაზედაც ქვემოთ გაიმბობთ.



გიზო თორდია

წლევანს ბათუმს მე-14 საჭარო სკოლაში (დირექტორი **თემურ სირაბიძე**) ზაფხულის ყოველი დილა გამაჯანსაღებელი ვარჯიშით იწყებოდა. დილის 7 საათზე ორ მწვრთნელ მოწყობილი მოზარდები და მათი მწვრთნელები მარჯვენა ხელის გულზე მიდებულნი

რევაზ მეგრელიშვილი

საქართველოს ჰიმნს მღერიდნენ. შემდეგ იწყებოდა მოთიელა, ვარჯიში და ... მაკოცქნელები შავი ზღვის ტალღები. მოსალდა. იყო ერთი ერიალელი ზღვისპირა პლაჟზე დილაობით. წლების მანძილზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკით ავაჯანიძის სახ. ბავშვთა მოზარდთა კრიზის ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული ცენტრალური სასპორტო სკოლა გამაჯანსაღებელ შეკრებას მოსწავლე — სპორტმენებისათვის ბათუმში აწყობს. ზემოხსენებული სკოლა თბილისში 1984 წელს შეიქმნა და მას სათავეში ჩაუდგა ვერანის ნენსრული, სპორტის დაშსტერებული ოსტატი **დავით კვაჭაძე.** აქედან მოყოლებული, სასპორტო სკოლის აღსაზრდელთა სტუმრობა ზაფხულობით აჭარის დედაქალაქში ტრადიციად დამკვიდრდა. სახელოვნებმა მოკრიფეს სკოლის სადგომი შემდგომ თავის თანგაუნდელ **რეზო მეგრელიშვილს** გადაბარა. არც მას უდალტება ამ ტრადიციისთვის. დღესისათვის თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კრიზის 23 სექციი მუშაობს, ოცდაშვიდ, **სამაჩაბლოში შარშან, გაზაფხულზე,** ერედვში გიიხსნა.

ბოლო ორი თვეული წლის მანძილზე ქართულ კრიზში უამრავი ნიჭიერი მოზარდი გამოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონიც გეფფის, ვერანის ჩემპიონატის ფინალისტიც და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულიც. ყველა მათგანი თავის პირველ ნაბიჯებს ამ სკოლის სახელით დგამდა. წლეულს, მაგალითად, ჭ ნიკოლაევის რინეზე ახალგაზრდა **ჯაბა სუხიტაშვილმა** თანატოლს მორის ვერიას პირველობა მოიგო (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **რამაზ ნიკოლაძე**).

— „ასეთი შეკრებების მოწყობას ერთი გამოკვეთილი მიზანი აქვს, რაც შეიძლება მეტი მოზარდი მოეწვიოტო ქუჩას და სპორტში ჩავაბაო, მაშინ ჯანმრთელი თაობაც გეყოლებაო. უსაქმური — ნარკომანიც ნაკლები იქნებაო ქვეყანაში" — ამბობს რ. მეგრელიშვილი.

წლევანდელი შეკრება განსაკუთრებული იყო. ბოლო 12-14 წლის მანძილზე ბათუმში პირველად გამოჩნდნენ მოზარდები აფხაზეთიდან, კერძოდ, გალის რაიონიდან. შარშანაც იყვნენ ბავშვები ცხინვალიდან (კონტროლირებადი ტერიტორიიდან). ლიაბის ხეობიდან მოზარდების გამოყვანა და გამომგზავრება ბათუმში იმდენად სარისკო არ იყო, რამდენადაც გალიდან. აფხაზეთის ნაციონალური მიძრაობის ჩეფეფერეთის რაიონის კოორდინატორმა **გიზო თორდიამ** გვიხრა: „მსგავს პროგრამებში ადრე მონაწილეობდნენ საზღვრართან ახლომდებარე სოფლების მოზარდები, წლეულს კი, უშუალოდ გალიდან, პირველად ჩამოვიდნენ. ბავშვების ჩამოყვანა თავისთავზე აიღო აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს სპეციალისტმა კახა ქომეთიანმა. ეს ბავშვები წლების მანძილზე ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრობდნენ და ბათუმში აღმოჩნდნენ სულ სხვა გარემოში. მათ ამ დღეების მანძილზე ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრეს. გაოცებულნი იყვნენ ბათუმის სილამაზით. ტროლეიბუსი რომ დაინახეს, გაკვირვებით იკითხეს „მავთულებით როგორ დადის მანქანაო?!"

ასეთი პროგრამები კლავიც უნდა გაგრძელდეს მოზარდების დაახლოების მიზნით" — აღნიშნა ჩვენთან საუბარში გიზო თორდიამ.

— გაღელ, ერედველ თუ სხვა კუთხის შვილებს, უნდა უყურებდეთ ერთმანეთი, ერთმანეთის სიფარეფთი უნდა გავზარდოთ. ყველა დიდი სპორტსმენი ვერ გახდება, მაგრამ ნამდვილ ქართველებად ხომ ჩამოყალიბდებიან.

ბათუმში საზაფხეფთო საწვრთნელ-გამაჯანსაღებელი შეკრების ღლის რეჟიმი საკმაოდ დატვირთული იყო. დილის ვარჯიშის შემდეგ საწვრთნელი ვარჯიშები, სხვადასხვა სპორტული თამაშები. საღილის შემდეგ კი სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები და ეჭკეფერსიები მწვანე კონცხზე. სარეფი. მოიწყო სპორტული შეჯიბრებები ადგილობრივ მოზარდებთან.

ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს, შეეჩვეოთ აქეთ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლეტი „ზღვის ლომები". ამ ლეტაში გიერთიანებული არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომელთა უმეტესობა ბათუმის კოლორიტს მიკეთებენა. ისინი ყოველწლიურად მოუთმენლად ელიან ჭაბეკი სპორტსმენების ჩასვლას ბათუმში. მათთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, წლეულ კი სიუჟეტები მოგვიწყეს და ზღვის ჭიშაზე ფერენფურთის მოედანი დაგვაჯილეს. სპლაკო ფერენფურთში არაერთი აზარტული შეჯიდრა გაიმართა. ამ ასაკოვან პროოფესებს უხარიათ, რომ მათთან ერთად ვარჯიშობენ და ვაქაცადენან ჭაბეკები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ყოველწლიურად საწვრთნელ-გამაჯანსაღებელი შეკრება ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით.

„დღიდან დაარსებისა დ. კვაჭაძის სახელობის ბავშთა-მოზარდთა კრიზის ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული სასპორტო სკოლა ატარებს ამ სახელოვანი მოკრიფის სახელობის სიერთაშორისო ტურნირს ყოველწლიურად. იმ რიგულ დროსაც კი არ ჩაშლილა ამ ტრადიციული ტურნირის ჩატარება. ამას წინ ფსწრებს საგაზაფხეფთო სკოლის პირველობა, შემდეგ ლია პირველობა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გეფნდნიც მონაწილეობენ. ბათუმის შეკრებაც მზადდის ერთ-ერთი ეტაპია. სეზონი კი მთავრდება შემოდგომის პირველობით. ყველაზე საეტყეფსონი ხეფენინან სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში, რომლებიც მონაწილეობენ ევროპის, მსოფლიო და საერთაშორისო ტურნირებში. სკოლა მომავალშიც უფრო ფართოდ გაშლის გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ჯანსაღი მომავალი თაობის აღსაზრდელად" — გვიამბობს რეზო მეგრელიშვილი.

მწვრთნელ-მასწავლებლების ყოველდღიური თავდადებული შრომა უკვალოდ არ იკარგება. ის შედეგს აუცილებლად გამოიღებს, რაც არაერთხელ დადასტურებულა საჭმი. მომავალი თაობა, იმედია, იცხოვრებს მოკრიფის მუშტიკით შეკრული გაერთიანებულ საქართველოში.

ᲒᲝᲜᲢᲝ ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ.

სკოლის დირექტორის რევაზ მეგრელიშვილის თაოსნობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და თბილისში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებლებია შეკრება ახალი სასწავლო წლის წინ ტრადიციად იქცა. წლევანდელი შეკრება გასულ შაბათს გაიმართა. სურათზე სწორედ ამ შეკრების მონაწილენი არიან აღბეჭდილნი.

ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ

ᲘᲡᲔᲕ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ვიღრე ვაკის ზამთრის დარეული საეფრაო აეფზის ტერიტორიაზე მოფუსფფეს მშენებლები ქარიგელ მოფარიკეფებს, კომფორტული სპორტული დარბაზის აკეთას ჰპირდებიან, ჩვენი მეშვიეტერები საკრიფელს სპორტსა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის სარდაფში არიან შეხიზნული. გასეფ შაბათს სწორედ იქ ჩატარდა საკართველოს თასის გეიმაშება ფარიკაობაში, რომელშიც ტარდიციულად თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის 100-მდე მეშვიეტერი მონაწილეობდა. ქეფმოთ გთავაზობთ სამდღიანი ტურნირის ტანჭეტიურ შედეგებს:

რაპიარა. ქალები. 1. ნატო კობიაშვილი, 2. მადონა ჩაბრაძე, 3. ეკა ღუნდაშვილი (სამიეი — თბ) და რუსუდან საფარიძე (ბათ); **ვიეები:** 1. გიორგი გრიგოლი (თბ), 2. თემერ გორდაძე (ქუთ), 3. სანდრო სიხარულიძე (თბ); **დაშნა. ქალები:** 1. ალეკსანდრა ანანიაშვილი (ბათ), 2. ნათია ჩუბინაძე (ქუთ), 3. ქეთევან სილაგაძე (თბ) და ნათია ჩაჩხიანი (ქუთ); **ვიეები:** 1. დავით არველაძე, 2. გიგი ნაეცლეშვილი (ორიეი — ქუთ), 3. ზალვა კოკოჩაშვილი და ალეკო ზანაშვილი (ორიეი — თბ); **ხმალი. ქალები:** 1. ქეთინო გოგიაშვილი, 2. თეონა ფეკაძე (ორიეი — თბ), 3. თინა ბოლქვაძე (ბათ) და სოფიკო კახიანი (თბ); **ვიეები:** 1. ირაკლი ზამბახიძე (ბათ), 2. კახა მაღრაძე (თბ), 3. ზურაბ ბახსოლიანი და დავით მთვარელიძე (ორიეი — თბ).

14-17 სექტემბერს, სტამბოლში 15-ათასიან სპორტის სასახლეში ჩატარდება „ა" კატეგორიის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიაც 6 ქართველი სპორტსმენი — ნ. კობიაშვილი, მ. ჩაბრაძე, გ. გრიგოლი, ს. სიხარულიძე (ყველა — რაპარა), ხმლით მოფარიკაკე დ. მთვარელიძე და დაშნის ოსტატი ქ. სილაგაძე იასპარეზებენ.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲪᲘᲠᲙᲘᲜᲘ

ქეთი კობიაშვილი — გიორგი გრიგოლია — ირაკლი ზამბახიძე

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲘᲡ ᲝᲠ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ქართული სპორტის ქუთაისელი ამაგდარის, შესანიშნავი მკალეკვარის და მემატანის **ზურაბ ჯავახაძის** შემოქმედება ახლახან კიდევ ორი თვალსაჩინო ნაწარმოით გამდიდრდა. ერთი მათგანია წიგნი „ქუთაისელ ფალავანთა ნაკვალევზე", მეორე — „სახელოვანი ოსი სპორტსმენები".

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ათეული წლებია ზ. ჯავახაძის ავტორობით გამოეცემელ წიგნებს (ეალკ ჰუნლეკეიციებზე ალარფერს ვამბობთ) დიდი ინტერესით ეენობა მკითხველი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისს და საერთოდ, ქართულ სპორტს ჰყავს კალამმოეულელი ყამოდმწერელი და მეხოტბე. მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ბატონი ზურაბი ახალგაზრდული ენერგიითა და გონებით ჭერწყვს წარსულს და აწმყოს, დავიწყების ბურუსსაფარს იცავს ყველაფერ ჭირფასს, რაც ქართული სპორტის თავანკარა წყაროსთან, ქუთაისთანაა დაკავშირებული.

წიგნი „ქუთაისელ ფალავანთა ნაკვალევზე" ამის კიდევ ერთი ნათელი დასტურია. წეიკითხავ ამ წიგნს და გული სიამაყით აგვესებოთ, კიდევ ერთხელ დარწმენდნენთ, თურმე რა ძალა და მადლი ყოფილა განვითეფლი ჩვენს ეროვნულ ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ჭიდაობის ყველა სახეობის ბალავრად და წარმატებათა საწინდრად იქცა. „ქართულ ჭიდაობის დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ისევე ძირძველია, როგორც საკვეყნოდ ცნობილი ქართული მრავალეამიერი თუ ხალხური პოეზია" — წერს ავტორი.

წიგნში კიდევ ერთხელ გაიდვენენთ თვალს ჩვენს გმირულ წარსულს, ყველა ადგილეენ სიამაყის გრძნობით ჩვენი ისტორიული ფალავნები, რომელთა ნაკვალევს თაობები აღიზარდნენ და, როეა დრომ მოიტანა, შორს გაუთქვეს სახელი სამშობლოს და ქართულ ჭიდაობას — ძიდოში, სამბოში, თავისუფალ თუ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოპოვებული უმაღლესი წარმატებებით. წიგნი უმჯობეს დასურათებულია.

ავტორი ხიდ მადლობას უხდის რუსეთში მოღვაწე ქუთაისელ ბიზნესმენს **ბენო გოფლინიძეს,** რომელსაც სხვა ბევრ სასიკეთო საქმეებთან ერთად ამ წიგნის გამოცემაც დაეფინანსებინა.

„სახელოვანი ოსი სპორტსმენები" სათაურშივე მიგვანიშნებს თუ რას გვთავაზობს ავტორი ამ კრებულში.

„საუკუნეების მანძილზე ქართველ მიწაზე მცხოვრები ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ძმობა-მეგობრობა და უფრო მტკიცე, ნათესაური უერთიერთობა, ყოველივის წყალს ასხამდა ჩვენი ქვეყნის ძლიერების წისქვილზე სასხარულია, რომ ამ ორი ძირძველი ერის დიდ სპორტულ სარბიელზე ფართოდ წარმოჩენის საქმეში ღირსეული წვლილი ოსმა სპორტსმენებმაც შეტანეს. ისინი ხომ წლების მანძილზე ქართველებთან ერთად გამარჯვებათა სერიალებით ამარებდნენ და ანეიიერებდნენ სპორტის მოყიარეთა თაყვანისმცემლებს." — ეკითხულობთ კრებულის შესავალში. ეს გამოცემაც უმჯობეს დასურათებული. ამ უალრესად საინტერესო კრებულის გამოცემაში ავტორისთვის დამპარები ისევ გენო გოგლიჩიძეს გაუწევია.



ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲝᲡᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

საუბრები სპორტის ისტორიაზე

გლადიატორთა ბრძოლები

გლადიატორთა ბრძოლა სათავეს ეტრუსკებიდან იღებს. იტალიის ეს უძველესი მოსახლეობა გამოირჩეოდა ბერძნებთან წილნაყარი თავისი ცივილიზაციით და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კულტურულ ეტრუსკებში გლადიატორთა ბრძოლა ყველაზე პოპულარულ გასართობ სანახაობას წარმოადგენდა.

„ეტრუსკებმა რომს მემკვიდრეობით გადასცეს მონუმენტურობის ტენდენცია არქიტექტურაში, პოლიტ. და რელიგ. ინ-ტები, სპორტ. თამაშობები (ცირკუსი, გლადიატორთა ბრძოლა და სხვ.). — ვკითხულობთ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" (გვ. 244).

ეტრუსკელებისაგან გადაღებული გლადიატორების ბრძოლა თავდაპირველად მიცვალებულთათვის მსხვერპლშეწირვის კულტის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

როგორც ცნობილია, იმპერიის დაცემის შემდეგ რომში რესპუბლიკური მმართველობა დამკვიდრდა. მაგრამ რესპუბლიკის პერიოდში გლადიატორების ბრძოლა იმპერიასთან შედარებით გაცილებით სასტიკი და დაუნდობელი იყო. „ზოგიერთი, — ამბობდა ციცერონი, — თვლის, რომ გლადიატორთა ჩვენი ორთაბრძოლები სასტიკია და არაადამიანური. იმ სახით, როგორც ისინი ახლა ტარდება, მართლაც ასე-

გლადიატორებს რომში უმკაცრეს პირობებში ამზადებდნენ სპეციალურ სკოლებში. ცნობილია, რომ ასეთ სკოლაში იწრთობოდა მონათა ცნობილი აჯანყების მეთაური სპარტაკი, რომლის სახელი თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ყოფილ საბჭოთა კავშირში, გახსოვთ, ალბათ, სპორტსაზოგადოება „სპარტაკიც" იყო, აღარაფერს ვამბობთ ამ სახელის მატარებელ სპორტულ კლუბებზე მთელ სოციალისტურ ბანაკში.

გლადიატორთა ბრძოლები იმდენად პოპულარული იყო, რომ მან დაჩრდილა ყველანაირი საცირკო და თეატრალური სანახაობები. და კიდევ ერთი: ვინ იყო ყველაზე ძლიერი გლადიატორი? აქ ძალა და ღონე არაფერ შუაშია, ძლიერი იყო ის, ვინც კარგად, ყოველ შემთხვევაში, მეტოქეზე უკეთ ფლობდა საფარიკაო ილეთებს. ფარიკაობა წამყვანი იყო გლადიატორთა ყველა სკოლაში.

გლადიატორთა ბრძოლები დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა მაყურებელზე — ეს ერთი. მეორე, — ხალხმა იცოდა, რა სასჯელი ელოდა დანაშაულისთვის, მესამე — ორთაბრძოლები აკმაყოფილებდა ხალხის ინტერესს და, რაც მთავარია, ყმაწვილ რომაელებს უნერგავდნენ რწმენას, რომ

გლადიატორთა ბრძოლა

თად გვევლინება. ტკივილისა და სიკვდილის გადატანა შეიძლება სმენისთვის კიდეც არსებობდეს უკეთესი სკოლა, მაგრამ თვალისთვის ნამდვილად არ არსებობს".

რომში გლადიატორების პირველი ბრძოლის გამართვის თარიღი ზუსტადაა დადგენილი. ეს მოხდა ჩვ. წ. აღმდე 264 წელს.

თავიდანვე გავცეთ პასუხი კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ გლადიატორები, რომელ ფენას წარმოადგენდნენ ისინი? ნებაყოფლობით იშვიათად თუ ვინმე ირჩევდა ამ გზას. ძირითადად გლადიატორებად ძალდატანებით აქცევდნენ ადამიანებს. ვის? უპირველესად — სიკვდილმისჯილებს. ხშირად სიკვდილმისჯილს მხეცებთანაც შეაგდებდნენ ხოლმე. ამ შემთხვევაში მას აძლევდნენ იარაღს, მაგრამ ძალიან მარტივს, რათა მხეცთან ჭიდილი მცირედით მაინც გახანგრძლივებულიყო და მაყურებელს მეტი სიამოვნება მიეღო. ადრე, მაგალითად, ტყვეებს თუ ხოცავდნენ, მერე და მერე მათ აგზავნიდნენ გლადიატორთა სკოლებში. არც ტყვეებს და არც სასამართლოს მიერ განაჩენით სიკვდილმისჯილებს, თუ მას საგანგებოდ არ მოამზადებდნენ, გლადიატორად ვერ გამოდგებოდა. ამიტომ განაჩენის თანახმად, მას ილებდნენ და ავარჯიშებდნენ გლადიატორთა სკოლაში. შეღავათიც იყო დაწესებული, ანუ სიკვდილი აუცილებელი არ იყო. თუ სიკვდილმისჯილი გლადიატორი ბრძოლების გარკვეულ რაოდენობას ჩაატარებდა, ის თავისუფლდებოდა ორთაბრძოლებისგან. ამის ნიშნად მას ხის მახვილს გადასცემდნენ, ამასთან, თუ მონა იყო, ხდებოდა თავისუფალი მოქალაქე.

ისინი უნდა ყოფილიყვნენ სასტიკები, არ მიექციათ ყურადღება ადამიანთა ტანჯვისთვის და გულგრილად შეეხედათ სიკვდილისთვის.

იულიუს კეისარმა ჩვ. წ. აღ-მდე 46 წელს მარსის ველზე დიდი ტბა გაათხრევინა, სადაც წყალზე გლადიატორთა მასობრივ ბრძოლებსაც დაუდო სათავე.

განსაკუთრებული ყურადღება რომში, როგორც ადრე ითქვა, სანახაობებს, მის რაოდენობას და მასშტაბს ექცეოდა. მასების ინტერესის ასამაღლებლად და ემოციის გამოსაწვევად სანახაობებში თანდათან იკიდებდა ფეხს სისასტიკე. ჩვენი წ. აღრიცხვის პირველ საუკუნეში, სანახაობები წელიწადში მოიცავდა 66 დღეს, მომდევნო საუკუნეში ეს რიცხვი 135 დღემდე გაიზარდა, IV ს. შუა პერიოდში კი 175 დღეს შეადგენდა.

როგორც ხედავთ, ძველსა და ახალ წელთაღრიცხვების მიჯნაზე და შემდეგაც განუხრელად იზრდებოდა გლადიატორთა სისხლიანი ორთაბრძოლების რაოდენობა. ამ შერკინებებმა შეცვალა მაყურებლის დამოკიდებულება სხვა სანახაობებისადმიც კი. ჩნდება „სისხლის მოთხოვნა". მაგალითად, ეტლებით რბოლისას, ის, ვინც ხიფათს თავს არიდებდა, ქირვეული მაყურებელი უსტვენდა, ლაჩრად მიიჩნევდა. ის კი, ვინც თავს არ დაზოგავდა და თავის სიცოცხლეს აშკარა საფრთხეში აგდებდა, მაყურებლის სიმპათიას იმსახურებდა. პუბლიკა სისასტიკეს ითხოვდა მოკრივეთაგანაც. დავძენთ, რომ რომაელებმა კრივიც ბერძნებიდან გადაიღეს.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო" №56-დან.

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. I წრე

იგებს „ყოჩები", „ლოკომოტივი" და „ლელო"

9 სექტემბერს, მ. მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე, რაგბში საქართველოს მორიგი ჩემპიონატი დაიწყო. ამ დღეს გაიმართა სამი მატჩი. ჯერ სარბიელზე გამოვიდნენ „ყოჩები" და აკადემიელები. ბუნებრივია, სეზონის სტარტზე ყოველ გუნდს აქვს რაღაც პრობლემა და პირველსავე მატჩში შენიშნავს დაკვირვებული თვალი, ვინ როგორ გაართვა სიძნელეებს თავი. ამ კრიტერიუმით თუ ვიმსჯელებთ, „ყოჩებს" უკეთ მოუგვარებიათ პრობლემები და მათთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა მეტოქესთან მოეპოვებინა აშკარა უპირატესობა. ეს კი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მატჩის ბოლო ნახევარსაათიან მონაკვეთში.

თავიდან ანგარიში აკადემიელებმა გახსნეს მე-5 წუთზე. პირველხაზელი **ბექა მეკოკიშვილის** შორიდან დარტყმული ზუსტი გამოდგა — 3:0. მალე ამ სიხარულს **ირაკლი გეგენავამ** ეფექტურად გატანილი ლელოთი უპასუხა — 5:3. ტაიმის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა „ყოჩების" ერთ-ერთმა ლიდერმა **ზვიად კობერიძემ** კვლავ ლელო გაიტანა, **ბრეგვაძემ** კი გარდასახვა შეუპოვრად შეასრულა და 12:3... ამ ანგარიშით გავიდნენ გუნდები შესვენებაზე.

პირველის მსგავსად მეორე ტაიმიც აკადემიელთა შეტევებით დაიწყო და ერთ-ერთი ცდა ლელოს გატანითაც დასრულდა — 8:12. სხვაობა ანგარიშში მინიმუმამდე შეიძლებოდა შემცირებულიყო, მაგრამ მეკოკიშვილს გარდასახვაში ბედმა უმტყუნა. მალე „ყოჩებმა" ისევ ლელო დადეს, ბრეგვაძემ კი კვლავ წარმატებით შეასრულა გარდასახვა — 19:8. ასე დასრულდა ეს შეხვედრა.

შემადგენლობა. „ყოჩები": კობერიძე, ნიკარაძე, კაჭარავა, ადანაია, გეგენავა, ბრეგვაძე, ხელაძე; ასეიშვილი, მეტრეველი, ანჯაფარიძე (ციკნაველიძე, 46), არჩუაშვილი, ქაბაშვილი, თოთაძე, ტუჩაშვილი, კუპუხიძე.

„აკადემია": ჩაბრაძე, სუთიძე, წასიძე, სულამანიძე, ბატოიანი, ბეგაძე (ფირცხალაიშვილი, 67), კობახიძე (მოლოდინაშვილი, 60), ბანდელაძე (დიაკონიძე, 41), მეკოკიშვილი, ბარბაქაძე, სირბილაძე, საძაგლიშვილი, წიბლაძე (ობელაძე, 43), გელაძე, ლომსაძე;

მსაჯი მ. ჩაჩუა.

X X X

სიმართლე ითქვას, ქვეყნის ჩემპიონის და ჩემპიონატის დებიუტანტის „დინამოს" შეხვედრაში სენსაციას არავინ მოელოდა, მაგრამ ვარაუდის საპირისპიროდ, ბრძოლა ერთობ დაძაბული გამოდგა. თვით საბოლოო ანგარიში 19:17 ჩემპიონის სასარგებლოდ ადასტურებს ზემოთქმულს. თამაში თუ ულიმღამოდ წარიმართა, პასუხი უფრო ჩემპიონს მოეკითხება. ასეა ყოველთვის. მოხდა ისე, რომ 27-ე წუთამდე ანგარიშიც არ გახსნილა. პირველი სიხარული კი „დინამომ" იგემა. შესანიშნავად ითამაშა **დავით გუგუშვილმა**. ჩახლართული სიტუაციის შემდეგ ბურთი მის თანაგუნდელ **პაატა მაისურაძესთან** აღმოჩნდა და ამ უკანასკნელმა ოსტატური ლელო მიითვალა, რასაც **ლადო ავლახაშვილის** ზუსტი გარდასახვა მოჰყვა — 7:0. მცდელობის მიუხედავად, მასპინძლებმა ანგარიში სწრაფად ვერ გაქვითეს. მიზნის მიღწევას მთელი 11 წუთი დასჭირდა. **შალვა სუთიაშვილის** ეფექტური შეტევა ლელოს გატანით დაასრულა **გიორგი მთიულიშვილმა**, — გარდასახვა კი ოსტატურად შეასრულა **ბობა კვინიხიძემ**. ამის შემდეგ წუთიც არ იყო მილეული, დინამოელმა ავლეხაშვილმა რომ ზუსტად დარტყა და მატჩის პირველ ნახევარს წერტილი დაუსვა — 10:7.

შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა შესანიშნავი შეტევა განახორციელეს და **ლექსო გუგავამ** იერიში ლელოთი დაასრულა. სამწუხაროდ, კვინიხიძემ გარდასახვა ვერ განახორციელა — 12:10. დინამოელებმა ამის შემდეგ **ირაკლი ნატროშვილმა** დააწინაურა — 17:12. აქ გარდასახვა **ალექსაშვილმა** კვლავ ზუსტად შეასრულა. იგრძნო რა საშიშროება, „ლოკომოტივმა" სრული სიჩქარე ჩართო, ამას ისიც დაერთო, რომ მსაჯმა ერთმანეთის მიყოლებით ორი დინამოელი **მაისურაძე** და **გუგუშვილი** 10 წუთით გააძევა მოედნიდან. მასპინძლებმა 73-ე წუთზე კარგად გამოიყენეს ეს უპირატესობა — **შოთა სპანდარაშვილმა** ლელოთი, კვინიხიძემ კი გარდასახვით დააწინაურეს თავიანთი გუნდი — 19:17. ამ შედეგით დასრულდა კიდეც ეს მატჩი.

შემადგენლობა. „ლოკომოტივი": ასათიანი, ოსეპჩუკი (ანდღულაძე, 73), ბერძენიშვილი (ნადირაძე, 68), გილაური, გუგავა, კვინიხიძე, უდესიანი; ნიშნიანიძე, ხეჩიკოვი, სპანდერაშვილი, მთიულიშვილი, მგელაძე, მხეიძე, ბერიშვილი, სუთიაშვილი.

დინამო: შუბითიძე, ოდიშარია, ლირსიაშვილი, ხვიჩია, გრუდკო, ავლახაშვილი, რამიშვილი, გაგნიძე, ნატროშვილი, მოქია, მირცხულავა, ხორბალაძე, ცხადაძე, მაისურაძე, გუგუშვილი.

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი.

X X X

აშკარა უპირატესობით მეტოქეს მხოლოდ „ლელომ" სძლია 42:14. საერთო შემადგენლობით თასის ფინალისტს გამარჯვება ნამდვილად არ გასჭირვებია. „ლელომ" მოსამზადებელი პერიოდიც ნაყოფიერად ჩაატარა — თურქეთში. იყო შეკრებაზე. ვერ ვიტყვით, რომ შიგადაშიგ „ხულიგანა" არ ბრწყინავდა. იყო ასეთი მომენტები, „აშკარა უპირატესობაში" ჩვენ მხოლოდ საბოლოო შედეგი ვიგულისხმეთ.

„ლელომ" მატჩში მე-2 წუთზე მიითვალა პირველი სამი ქულა **ირაკლი ყიასაშვილის** მიერ დარტყმული საჯარიმოდან. აი, ამის შემდეგ იყო „ხულიგანადან" ბრწყინვალედ რომ ითამაშეს **ბექა შეყლაშვილმა** და **ლევან გენებაშვილმა**. პირველმა ლელო დადო, მეორემ — გარდასახვა შეასრულა უნაკლოდ — 7:3. ამას მოჰყვა ყიასაშვილის ლელო და გარდასახვა — 13:7. „ხულიგანამ" კიდევ ერთხელ და საბოლოოდ მოახერხა წინ გასვლა (ლელო — **დავით აბაშიძე**, გარდასახვა — გენებაშვილი) — 14:13. მიაქციეთ ყურადღება ციფრ 14-ს. ამის შემდეგ თითქმის არასრული 58 წუთი მოედანზე ლელოელები დომინირებდნენ და მათვე დარჩათ საბოლოო გამარჯვება 42:14. აი, რატომ გთხოვეთ, ყურადღება მიგექციათ „ხულიგანას" შედეგისთვის.

შემადგენლობა. „ლელო": ყიასაშვილი, ზაალიშვილი (თოდუა, 58), მანჯავიძე, ქიზიყურაშვილი, ცერცვაძე (ვაშაკიძე, 74), ხმალაძე, თოფურია, ტვილდიანი (ცხაკაია, 48), ცხოვრებაშვილი (სხილაძე, 75), ჰუბრიაშვილი, რამაზაშვილი, ჩიტაძე (მაისურაძე, 62), მჭედლიშვილი, დ. დაუშვილი (ახალაია, 61), ი. დაუშვილი.

ხულიგანა: ჭეირანაშვილი, სონღულაშვილი (კენჭაძე, 65), შიოშვილი, ხმალაძე, კუპრეიშვილი, კრეპსი, გოგიშვილი (კიკუთაშვილი, 41), მურვანიძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი, აბაშიძე (მაღრაძე, 68), გენებაშვილი, ახვლედიანი, დგებუაძე.

მსაჯი. გ. ჯავახიშვილი.

ბია ჯაფარიძე.

ლევან ცაგურია მეცამეტე არაიაპონელი კომუსუბია...

პირველი გვერდიდან

რა სიკეთე მოიტანა ამ წარმატებამ?

— თუ მხედველობაში გაქვთ მატერიალური — არანაირი. ეგაა, განმტკიცდა ჩვენი ავტორიტეტი და იმიჯი, რაც აქამდეც არ გვაკლდა. კოკაის კვალს რომ სხვებიც გაჰყვნენ, განა ეს ცოტას ნიშნავს? ახლა უფრო მეტად დაგვაფასებენ.

◆ ***რას გულისხმობთ?***

— საერთოდ, საერთაშორისო ფედერაცია რომ ერთ-ერთ მოწინავედ გაღიარებს, ცოტას არ ნიშნავს. გვეძლევა უპირატესობა იაპონიის სუმოს სკოლებში გავაგზავნოთ ნიჭიერი ახალგაზრდები, მით უფრო, მათ იციან, რომ ჩვენ იქ ღირსეულებს ვაგზავნით.

◆ ***ეს, ცხადია, კარგია. მით უფრო, რომ რამდენადაც ვიცით, იაპონიის სუმოს პროფესიონალთა სკოლებში მოხვედრა ძალიან გართულდა.***

— მართალს ბრძანებთ. 3-4 წლის წინათ გაცილებით ადვილი იყო იქ მოხვედრა, ვიდრე ეს დღესაა. ადგილები შეზღუდულია. აი, აქ ჭრის ჩვენი ავტორიტეტი. მსურველი ყველგან ბევრია. მით უფრო, არის ლაპარაკი, რომ სუმო შეიძლება გახდეს ოლიმპიური სახეობა.

◆ ***საიდან მოდის ეს ინფორმაცია?***

— საერთაშორისო ფედერაციიდან. მიზნადაა დასახული 2018 წლის თამაშების პროგრამაში სუმოც შევიდეს. არის შანსი, რომ სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი გახდეს, თუ ეს მოხდა, ამოცანა უფრო რეალური იქნება.

◆ ***რამდენი ევროპელია დღეს იაპონიის პროფესიულ სუმოში?***

— სულ თხუთმეტი და აქედან ოთხი საქართველოდანაა. ამდენივე ჰყავს რუსეთს — ძირითადად ოსეთიდან **როჰოს** ლიდერობით.

◆ ***თქვენ თქვით, რომ საქართველოდან ოთხია წასული იაპონიაში. კოკაის შესახებ ვიცით, დანარჩენების საქმე როგორ არის?***

— ლევანის ძმამ, **გიორგი ცაგურიამ** კარგად დაიწყო გამოსვლები, მაგრამ ახლა ტრავმა აქვს მიღებული და ამ სეზონს გამოტოვებს. **თეიმურაზ ჯუღელი** და **ლევან გორგაძე** ჯერ ზევიდან III დივიზიონში არიან და ბევრი გარჯა დასჭირდებათ წინ წასაწევად. თუ ჯუღელი და გორგაძე წლევანდელ სექტემბრის, შემდეგ კი ნოემბრის ბაშოს მოიგებენ, პროგრამა მაქსიუმი შესრულებული იქნება.

◆ ***ოლიმპიურ პროგრამაში ახალი სახეობის ჩართვა მთელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული, გავრცელების არეალის გარდა ახლა ქალთა შორის კულტივირებაც გახდა აუცილებელი...***

— რაც შეეხება გავრცელებას, გეტყვით, რომ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე სუმომ უკვე მოიკიდა ფეხი — 64 ქვეყანაშია კულტივირებული. წარმატებით ინერგება ქალთა სუმოც. აი, სულ მალე ოსაკაში ჩატარდება მსოფლიოს XIV ჩემპიონატი, სადაც მეოთხედ იქნება წარმოდგენილი ქალთა სუმო.

◆ ***საქართველოში როგორღაა ქალთა სუმოს საქმე?***

— ჯერ ვერ დავიწყეთ, ვნახოთ, სურვილი გვაქვს.

◆ ***მთავარია, გოგონებს ჰქონდეთ სურვილი.***

— რა თქმა უნდა.

◆ ***მივიღებთ მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში ვაჟებში?***

— აუცილებლად.

◆ ***ვინ გამოვა სარბიელზე?***

— ლევან ცაგურია, თეიმურაზ ჯუღელი და ლევან გორგაძე, გიორგი ცაგურია, როგორც გითხარით, ტრავმირებულია.

◆ ***კიდევ ერთი შეკითხვა. — სუმოში ტიტულები მუდმივია თუ...***

— სუმოში აღმასვლაცაა და დაღმასვლაც. ავად ვინც გახდება, გარკვეულ პერიოდში უნარჩუნდება რანგი, შემდეგ ქვეითდება და ხელახლა თუ დაუბრუნდება დოჰიოს, უკვე დაქვეითებული რანგიდან ჩაებმება ბრძოლებში. ერთადერთი შემთხვევაა, თუ სპორტსმენი გამოაცხადებს, რომ თავს ანებებს სარბიელზე გამოსვლას, მას ის ტიტული უნარჩუნდება, რა რანგშიც შეწყვიტა გამოსვლები.

ესაუბრა თენგიზ თომაშვილი

V ბაშო. (სუპერტურნირი). ტოკიო. I დღე. კოკაი — ასაშორიუ — 0:1. II დღე. კოკაი — კაიო — 1:0

სანდანმეს დივიზიონი: თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ) — კირინიშიკი — 1:0.

„ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი

6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი

ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას", „მაცნეს", „ინფოსერვისს", „უწყებანს".

თანმიმდევრობა არ დარღვეულა

წარუმატებლად, თუმცა, არა უიმედოდ დასრულდა სასექტემბრო სანაკრებო მატჩები და ქართული ფეხბურთი შინაურ პირველობას მიუბრუნდა.

ორი კვირის განმავლობაში, ნაკრებთა მატჩებით გამოწვეული პაუზის დროს, ადგილობრივ საფეხბურთო ფრონტზე ბევრი რამ შეიცვალა. ქვეყნის ჩემპიონის თავკაცს **კახა ცხადაძეს** სადისციპლინო კომიტეტმა, ამჯერადაც არ აპატია თავშეუკავებელი ქცევა და მწვრთნელის ლიცენზია სეზონის ბოლომდე შეუჩერა. ზესტაფონელებს დაუბრუნდათ გუნდის წარმატებათა მთავარი შემოქმედი **თემურ მახარაძე**, ხოლო ბორჯომელების შემადგენლობა, ერთბაშად შვიდი არგენტინელი ფეხბურთელით შეივსო. თბილისის „დინამოს“ კი რამდენიმე დღეში ცნობილი ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჰრინი** ჩაუდგება სათავეში.

